სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/124

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბერის № 01-05-04/28 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. **მიენიჭოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება:**
   - ბელოსტოკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობისა და ხელშეწყობისთვის, ქართველ მაგისტრებისა და დოქტორანტების სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისთვის, ბელოსტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორ ლეხ დენისს;
   - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და "დანტე ალიგიერის საზოგადოებას" შორის საგანმანათლებლო, აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისთვის, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მხარდაჭერისათვის, საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის "დანტე ალიგიერის საზოგადოების" პრეზიდენტს, პროფესორ ანდრეა რიკარდის;
   - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და "დანტე ალიგიერის საზოგადოებას" შორის საგანმანათლებლო, აკადემიური და სამეცნიერო

თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისთვის, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მხარდაჭერისათვის, საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის "დანტე ალიგიერის საზოგადოების" გენერალურ მდივანს, პროფესორ ალესანდრო მაზის;

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის ნაციონალურ საავიაციო უნივერსიტეტს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის, უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მაქსიმ ლუცკის;
- საქართველოსა და ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაცია CERN-ს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და CERN-ს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, CERN-ის სამეცნიერო დირექტორს, პროფესორ იოაჰიმ მნიხს;
- კილის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ნაყოფიერი აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და უნივერსიტეტში სამეწარმეო განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, კილის ბიზნესის სკოლის მეწარმეობის დირექტორს, დოქტორ კოლინ რიგბის.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**